სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/53

ქ. თბილისი

25 დეკემბერი 2020

მაიზოლირებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სამეცნიერო საცდელ-საკონსტრუქტორო ცენტრისათვის სამხედრო ლიცენზიის ასაღებად გამოყოფილი 6000 ლარის გადარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის (მოვალეობის შემსრულებელი), თამაზ ურთმელიძის 2020 წლის 24 დეკემბრის №0001225662 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 25 დეკემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, მაიზოლირებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სამეცნიერო საცდელ-საკონსტრუქტორო ცენტრს, სამხედრო ლიცენზიის ასაღებად, გადაერიცხოს გამოყოფილი 6000 ლარი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**